დანართი №1

დამტკიცებულია
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
2016 წლის 14 სექტემბრის
№158/01-01 ბრძანებით

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში გაგამოყოფილი ასიგნებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების წესის" ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარსადგენ მაგისტრანტთა შერჩევის დებულება

მუხლი 1. დებულების მიზანი
1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების წესის" ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომ - „უნივერსიტეტი") მიერ წარსადგენ მაგისტრანტთა შერჩევის დებულების (შემდგომ - „დებულება") მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების წესის" ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომ - „უნივერსიტეტი") მიერ წარსადგენ მაგისტრანტთა შერჩევის ერთიანი პირობების დადგენა და შესაბამის შერჩეულ პირთა გამოვლენა მათი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დასაფინანსებლად წარსადგენად.

მუხლი 2. შესარჩევი კრიტერიუმები
1. წინამდებარე დებულების პირველ მუხლში დასახელებული მიზნისთვის შეირჩევა უნივერსიტეტის ძირითადი სემესტრის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე მაგისტრანტი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:
ა) საცხოვრებელ მისამართზე რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
ბ) არის უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი;
გ) 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სასწავლო კურსში აქვს არანაკლებ 91-100 ქულა (A შეფასება - ფრიადი);
დ) მაგისტრანტის მიერ არჩეული სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი უნდა იყოს არანაკლებ 30 კრედიტი.

მუხლი 3. კანდიდატთა შერჩევა

1. უნივერსიტეტი დასაფინანსებლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს მე-2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისი მაგისტრანტების რაოდენობის 30%.
2. მე-2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდგომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის წარსადგენ სტუდენტთა რაოდენობა ნაწილდება ფაკულტეტების მიხედვით აღნიშნულ კატეგორიაში მოხვედრილი მაგისტრანტების საერთო რაოდენობის პროპორციულად.
3. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურის შემდგომ ფაკულტეტისთვის გამოყოფილი ადგილების ფარგლებში თითოეული ფაკულტეტიდან წარსადგენად შეირჩევა კანდიდატები, რომელთა სემესტრული ქულების საშუალო არითმეტიკული მეტია სხვა დანარჩენი პრეტენდენტების სემესტრული ქულების საშუალო არითმეტიკულზე.
4. იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი მაგისტრანტის სემესტრის განმავლობაში მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკული თანაბარია, მაშინ პრიორიტეტი მიენიჭება სტუდენტს შემდეგი კატეგორიების მიხედვით:
ა) მრავალშვილიანი ოჯახის წევრი;
ბ) ობოლი;
გ) სოციალურად დაუცველი;
დ) ომის ვეტერანის ოჯახის წევრი;
ე) იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილი.
5. დასაფინანსებლად წარსადგენ მაგისტრანტთა ერთიანი სია უნივერსიტეტის მიერ ეგზავნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები

1. აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული პროცედურების ადმინისტრირებას ახორციელებენ უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტები ურთიერთშეთანხმებით.